ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ-ნ ლ.ჯახველაძეს

გთხოვთ იმოქმედოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის შესაბამისად.

გიორგი ალიბეგაშვილი

14.03.17ნ

№07/17426, 07/6901, 16836, 7543, 20165, 5392, 08./12520, 17517, 17054, 03/1250, 18062, 1180, 06/19146, 9187, 18956, 1617, 07/19271.

17.03. 17 წ.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს
გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ მოქალაქეთა განცხადებების საფუძველზე სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ მომზადებული ინიციატივების ჩამონათვალს, განკარგულების პროექტებს თანდართული რუკებით, მოქალაქეების მიერ შემოტანილ განცხადებებს. (2015 წლის 28 სექტემბრის №07/17426 განცხადება, 2016 წლის 11 აპრილის №07/6901 განცხადება, 2014 წლის 13 ნოემბრის №16836 განცხადება, 2016 წლის 19 აპრილის №7543 განცხადება, 2016 წლის 14 დეკემბრის №20165 განცხადება, 2016 წლის 21 მარტის №5392 განცხადება, 2016 წლის 6 ივლისის №08/12520 წერილი, 2016 წლის 3 ოქტომბრის №17517 განცხადება, 2016 წლის 22 სექტემბრის №17054 განცხადება, 2016 წლის 25 იანვრის №03/1250 წერილი, 2016 წლის 19 ოქტომბრის №18062 განცხადება, 2017 წლის 26 იანვრის №1180 განცხადება, 2016 წლის 17 ნოემბრის №06/19146 წერილი, 2016 წლის 18 მაისის №9187 განცხადება, 2016 წლის 11 მაისის №8681განცხადება, 2016 წლის 11 ნოემბრის №18956 განცხადება, 2017 წლის 6 თებერვლის №1617 განცხადება, 2016 წლის 18 ნოემბრის №07/19271 წერილი).

გთხოვთ შემდგომ მითითებებს.

დანართი 134 ფურცელი

პატივისცემით,

სახელდებისა და სიმბოლიკის
კომისიის თავმჯდომარე

ლია ჯახველაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოების განყოფილება
ფურცლოვანი რაოდენობა 135 ფურცელი

07/17426, 07/6901, 16836, 7543
20165, 5392, 08/12520, 17517
17054, 03/1250, 18062, 1180,
06/19146, 9187, 18956, 1617
07/19271

1. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ძველი ვეძისის დასახლებაში, უსახელო ქუჩებისთვის, მათთან არსებული შესახვევებისთვის, ჩიხებისთვის და გასასვლელისთვის სახელის მინიჭების შესახებ
2. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, გივი კვიჭიძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის საბავშვო მწერლის კუკური გოგიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ
3. ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, თემურ სამხარაძის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის თემურ სამხარაძის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ
4. ქ.თბილისში, ისნის რაიონში, ალექსანდრე წულუკიძის ქუჩის 11 შესახვევისთვის, მასთან არსებული ჩიხისთვის და შესახვევისთვის პოეტის ოსიპ მანდელშტამის სახელის მინიჭების შესახებ
5. სამგორის რაიონში, აეროპორტის დასახლებაში უსახელო ქუჩისთვის, მასთან არსებულ შესახვევისთვის და გასასვლელისთვის კონსტრუქტორისა და მფრინავის, ინჟინერ ლუი ბლერიოს სახელის მინიჭების შესახებ
6. სამგორის რაიონში, აეროპორტის დასახლებაში უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის სამხედრო მფრინავის ჯიმშერ (ჯიმი) მაისურაძის სახელის მინიჭების შესახებ
7. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ჭირნახულის ქუჩის 11 ჩიხის მონაკვეთისთვის, მასთან არსებული ჩიხისთვის და ოთხი შესახვევისთვის არქეოლოგის როსტომ აბრამიშვილის სახელის მინიჭების შესახებ
8. „ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, თბილისის ზღვასთან მდებარე უსახელო გამზირისთვის მარშალ იოზეფ პილსუდსკის სახელის მინიჭების შესახებ" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 22 მარტის №84 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე
9. ქ.თბილისში, ისნის რაიონში, ზურაბ პატარაძის ქუჩის მონაკვეთისთვის მარშალ იოზეფ პილსუდსკის გამზირის სახელის მინიჭების შესახებ
10. ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ზაჰესის დასახლებაში კასკადის ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი შესახვევისთვის ენერგეტიკოსის ალექსანდრე ხეთაგურის სახელის მინიჭების შესახებ
11. ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ზურაბ მირაქიშვილის ქუჩის გაგრძელების შესახებ
12. ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, მარკ ბრონშტეინის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ონის სახელის მინიჭების შესახებ
13. ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, სოფ. თხინვალაში სიმონ ავალიანის ქუჩასთან არსებული ორი უსახელო შესახვევისთვის სიმონ ავალიანის I და II შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ

14. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, მიხა ხელაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის გამომცემლის ექვთიმე ხელაძის სახელის მინიჭების შესახებ
15. ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ქალაქი მარსელის სახელის მინიჭების შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ-ნ ლ. ჯახველაძეს

გთხოვთ იმოქმედოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის შესაბამისად.

გიორგი ალიბეგაშვილი

№07/19786, 07/1663, 07/19240, 06/20094, 19730
21.03.17 წ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების მე-7 მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ ინიციატივით, ჩემთვის მონიჭებული გამონაკლისის დაშვების შესაძლებლობის ფარგლებში, განხილული იქნეს ქვემოთ ჩამოთვლილი ქუჩებისთვის სახელების მინიჭების საკითხები:

1. ქ.თბილისში, ვაკის რაიონში სანდრო ეულის ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი შესახვევისთვის მომღერლის ზურაბ ანჯაფარიძის სახელის მინიჭების შესახებ;
2. ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ზურაბ ანჯაფარიძის ქუჩისთვის მოქანდაკის მერაბ ბერძენიშვილის სახელის მინიჭების შესახებ (რეგ:№№06/20094, 07/19786);
3. ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, შოთა გამცემლიძის ქუჩის შესახვევისთვის მწერლის, ექიმ შალვა მჭედლიშვილის სახელის მინიჭების შესახებ (რეგ:№07/1663, 19730);
4. ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, ხეივნის II ქუჩისთვის აკადემიკოსის, რევმატოლოგ ვლადიმერ წითლანაძის სახელის მინიჭების შესახებ (რეგ:№07/19240).

დანართი: 31 ფურცელი

პატივისცემით,

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოების განყოფილება
ფურცლის რაოდენობა 32 ფურცელი

07/19786, 07/1663
07/19240, 06/20094
19730

21.03.2017

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

2016 წლის დეკემბერში კომისიაში თქვენი რეზოლუციით შემოვიდა საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმის წევრების ერთობლივი №07/19786 წერილი, რომლითაც ითხოვენ ზურაბ ანჯაფარიძის ქუჩისთვის გამოჩენილი ქართველი მოქანდაკის მერაბ ბერძენიშვილის სახელის მინიჭებას.

2016 წლის დეკემბერში კომისიაში ასევე თქვენი რეზოლუციით შემოვიდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის გ. კვესიტაძის და მთავარი აკადემიკოს-მდივანის ირ. ჟორდანიას № 06/20094 წერილი, რომლითაც ითხოვენ ზურაბ ანჯაფარიძის ქუჩისთვის გამოჩენილი ქართველი მოქანდაკის მერაბ ბერძენიშვილის სახელის მინიჭებას.

გამომდინარე იქიდან, რომ ზურაბ ანჯაფარიძის ქუჩაზე მდებარეობს მერაბ ბერძენიშვილის მიერ აშენებული ა.ა.ი.პ საერთაშორისო კულტურული ცენტრი „მუზა", აქვეა მოქანდაკის საფლავიც, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია ზურაბ ანჯაფარიძის ქუჩისთვის მერაბ ბერძენიშვილის სახელის მინიჭება, ხოლო ზურაბ ანჯაფარიძის სახელი მიენიჭება სანდრო ეულის ქუჩას და მასთან არსებულ ორ შესახვევს (საკითხი შეთანხმებულია ზურაბ ანჯაფარიძის და მერაბ ბერძენიშვილის ოჯახებთან).

2017 წლის თებერვალში კომისიაში შემოვიდა ააიპ საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარის მაყვალა გონაშვილის №07/1663 წერილი, რომლითაც ითხოვს შოთა გამცემლიძის ქუჩის შესახვევისთვის მწერლის, ექიმ შალვა მჭედლიშვილის სახელის მინიჭებას.

2016 წლის დეკემბერში კომისიაში ასევე შემოვიდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის რიმა ბერაძის №19730 წერილი, რომლითაც ის შუამდგომლობს მოქ. ზაზა მჭედლიშვილს შოთა გამცემლიძის ქუჩის შესახვევისთვის მწერლის, ექიმ შალვა მჭედლიშვილის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოების განყოფილება
ფურცელთა რაოდენობა 31 ფურცელი

07/19786, 06/20094 20.03.17
07/1663, 19730

2015 წლის ოქტომბერში კომისიაში შემოვიდა აკად. ვ. წითლანაძის სახელობის რევმატოლოგიის ცენტრის დირექტორის, პროფესორ დოდო ქართველიშვილის №07/19240 წერილი, რომლითაც ითხოვს ერთ-ერთი ქუჩისთვის აკადემიკოს, რევმატოლოგ ვლადიმერ წითლანაძის სახელის მინიჭებას.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის დადგენილება N 14-59 -ის მე-7 მუხლის 1 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწესთან დაკავშირებული სახელდება დასაშვებია ამ პირის გარდაცვალებიდან არანაკლებ 20 წლის გასვლის შემდეგ, თუმცა ამავე მუხლში განმარტებულია გამონაკლისი შემთხვევები, რომლითაც თქვენ როგორც მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს გაქვთ ინიცირების უფლება.

არსებული წესიდან გამომდინარე, მოგმართავთ თხოვნით, თქვენი ინიცირების საფუძველზე განვახორციელოთ:

1. ვაკის რაიონში, სანდრო ეულის ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი შესახვევისთვის მომღერალი ზურაბ ანჯაფარიძის სახელის მინიჭება.

2. ვაკის რაიონში, ზურაბ ანჯაფარიძის ქუჩისთვის მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილის სახელის მინიჭება.

3. ჩუღურეთის რაიონში, შოთა გამცემლიძის ქუჩის შესახვევისთვის მწერლის, ექიმ შალვა მჭედლიშვილის სახელის მინიჭება.

4. კრწანისის რაიონში, ხეივნის II ქუჩისთვის აკადემიკოსის, რევმატოლოგ ვლადიმერ წითლანაძის სახელის მინიჭება

დანართი 29 (ოცდაცხრა) ფურცელი.

პატივისცემით,
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლოკის
კომისიის თავმჯდომარე ლია ჯახველაძე